ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“

შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“
პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 01 აგვისტო
სხდომის № 01-03/03 ოქმის დანართი №3

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

2022

სარჩევი

თავი I - ზოგადი დებულებები 1

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 1

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები 1

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამოცანები 2

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები 3

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავების საფუძვლები 3

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის ეტაპები 4

მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ციკლი 5

მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები 5

თავი II - შიდა ხარისხის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა 6

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ არსებული ზოგადი მოთხოვნები 6

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის შეფასება 6

მუხლი 11. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასება 7

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავება 7

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება 8

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასება 8

მუხლი 15. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება 9

მუხლი 16. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება 10

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის შეფასება 10

მუხლი 18. კოლეგიალური ურთიერთდასწრება 11

მუხლი 19. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება 11

მუხლი 20. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება 12

მუხლი 21. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი 13

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის (შეფასებების) ანალიზი 13

მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასებების ანალიზი 14

მუხლი 24. მატერიალური რესურსების შესაბამისობის ანალიზი 14

მუხლი 25. საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობის ანალიზი 15

მუხლი 26. ვებგვერდისა და სხვა ინფორმაციული რესურსების შესაბამისობის ანალიზი 15

მუხლი 27. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება და სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შეფასება 15

მუხლი 28. აკადემიური პერსონალის შეფასება 16
მუხლი 29. მოწვეული პერსონალის შეფასება 16
მუხლი 30. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება 17
მუხლი 31. კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები 18
მუხლი 32. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება 18
მუხლი 33. მმართველობით საქმიანობაში ხარისხის უზრუნველყოფა 19
მუხლი 34. საფინანსო და საბიუჯეტო პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა 20
მუხლი 35. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ანალიზი 20
თავი III - გარე ხარისხის შეფასება 20
მუხლი 36. გარე შეფასების მიზანი და ამოცანები 20
მუხლი 37. ავტორიზაცია 20
მუხლი 38. აკრედიტაცია 22
თავი IV - ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურული საკითხები 23
მუხლი 39. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სუბიექტები 23
მუხლი 40. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები 24
მუხლი 41. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გავრცელება (გაცნობა) 24
მუხლი 42. დასკვნითი დებულებები 24

თავი I - ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე პოლიტიკა განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში - ,,ავიცენა” ან ,,უნივერსიტეტი”) ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს; ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს სწავლების, კვლევის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის მიმართულებით; ასევე განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების ჩატარების პერიოდულობას, მასში ჩართულ მხარეებს, ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების შედეგად მიგნებებზე რეაგირების გზებსა და ფორმებს; ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და პროცედურების გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით განხორციელებისთვის აუცილებელ სამართლებრივ საფუძვლებს.

1.2. ხარისხის უზრუნველყოფა არის შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, მისი ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, სისტემატური მრავალმხრივი შეფასებების სისტემის დანერგვის და შეფასების შედეგებზე რეაგირების კუთხით. შეფასების შიდა პროცედურების შესრულებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი, ხოლო შეფასების გარე პროცედურებს - გარე დაინტერესებული მხარეები ან/და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

1.3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და პროცესი არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ძირითადი საყრდენი, წარმოადგენს უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს და ხელს უწყობს დაწესებულების ანგარიშვალდებულების ზრდას, ქმნის პირობებს ისეთი ხარისხის კულტურის განვითარებისათვის, რომლის პირობებშიც ყველა დაინტერესებული მხარე ყველა დონეზე ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

1.4. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება თვითკრიტიკული საზოგადოების იდეას, სადაც საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართულები ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარების პროცესებში.

მუხლი 2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნები

2.1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზანია უნივერსიტეტის სწავლების, კვლევის და ადმინისტრაციულ-მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის და მხარდამჭერი ადმინისტრაციული პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებას, ობიექტურ შეფასებასა და მუდმივ განვითარებას, შიდა და გარე შეფასებებისა და უკუკავშირზე რეაგირების მექანიზმების ეფექტურად განხორციელებას.

2.2. პოლიტიკის მიზნებია:

ა) შექმნას უნივერსიტეტში ერთიანი სახელმძღვანელო სტანდარტები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესებს;

ბ) შექმნას სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტური შიდა ხარისხის სისტემა;

გ) განსაზღვროს გარე შემფასებელთა უკუკავშირის უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენების მექანიზმები.

2.3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ხელს უწყობს:

ა) უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შექმნასა და დანერგვას;

ბ) სასწავლო პროცესის კავშირს სამეცნიერო კვლევებთან;

გ) აუცილებელი რესურსების საჭიროების განსაზღვრასა და რესურსების ეფექტურ მართვას;

დ) საუნივერსიტეტო საზოგადოების ყველა წევრის აქტიურ ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ანალიზსა და განვითარებას.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ამოცანები

3.1. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია:

ა) საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროცესების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა;

გ) დაინტერესებულ მხარეთა (სახელმწიფო და საზოგადოება, დამსაქმებლები და პარტნიორები, სტუდენტები და სხვ.) მიმდინარე და მომავალი მოთხოვნებისა და მოლოდინების და მათი კმაყოფილების ხარისხის შესწავლა და ანალიზი;

დ) საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, მომხმარებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით;

ე) საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი პროცესების მუდმივი მონიტორინგი და პერიოდული შეფასება;

ვ) უნივერსიტეტის მდგრადი განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველყოფა;

ზ) საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობისთვის თანამედროვე ინფრასტრუქტურის საჭიროებების განსაზღვრა;

თ) უნივერსიტეტის მართვის შედეგიანობის ამაღლება;

ი) საგანმანათლებლო პროცესის მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა;

კ) სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ნაწილში პერსპექტიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროექტების ინიცირება;

ლ) სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა;

მ) სწავლის შედეგების შეფასების სისტემის დამკვიდრება, რომელიც ითვალისწინებს სწავლასა და კვლევით საქმიანობაში სტუდენტის ინდივიდუალურ მიღწევებს;

ნ) პერსონალის პროფესიონალიზმის შეფასების უზრუნველყოფა;

ო) პერსონალის პოტენციალის ამაღლება, მათი გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის საფუძველზე;

პ) პერსონალის პროფესიული განვითარების ან/და წახალისების ღონისძიებების შესახებ წინადადებების შემუშავება.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები

4.1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სახელმძღვანელო პრინციპებია:

ა) მომხმარებელზე ორიენტაცია - მათი მიმდინარე და მომავალი მოთხოვნების ცოდნა, მათი დაკმაყოფილება და მოლოდინის მაქსიმალურად შესრულება;

ბ) ლიდერობა - უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ჩართულობა პოლიტიკის მიზნებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტაში;

გ) ჩართულობა - ყველა კატეგორიის დასაქმებულის და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრების მოტივაცია, ჩაერთონ დაწესებულების საქმიანობის სრულყოფაში, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით;

დ) უწყვეტი განვითარება - მუდმივი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგიანობისა და მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და გაუმჯობესების მიზნით;

ე) მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები - გადაწყვეტილებების მიღება სანდო და გადამოწმებული/გადამოწმებადი ფაქტების, მონაცემების და ინფორმაციის სწორი მეთოდით ანალიზის საფუძველზე;

ვ) თანამშრომლობა - უნივერსიტეტის პარტნიორებთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობები ორივე მხარის გამოცდილების, ინტერესის და ჩართულობის გათვალისწინებით.

მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავების საფუძვლები

5.1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა არის უნივერსიტეტის ხედვის განუყოფელი და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით დასახული განვითარების მიმართულებების თანხვედრი ნაწილი.

5.2. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოების/ხელმძღვანელობის ხედვასა და ძირითად ღირებულებებს, მოიცავს

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირების ძირითად პრინციპებს, მიმართულებებსა და ინსტრუმენტებს.

5.3. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემუშავების საფუძველია უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები.

5.4. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ეფუძნება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებს, იზიარებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და რეკომენდაციებს (ESG) ხარისხის უზრუნველყოფისთვის.

მუხლი 6. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვის ეტაპები

6.1. უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს და ვითარდება შემდეგი საკვანძო მიმართულებებით:

ა) ძირითადი მმართველობითი პოლიტიკების განსაზღვრა - უნივერსიტეტის მართვის ორგანოების/ხელმძღვანელობის მიერ უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული მიზნების, ხედვის, საკვანძო ღირებულებებისა და ხარისხის სფეროში საკვანძო პრინციპების მატარებელი - პოლიტიკის დოკუმენტების - შემუშავება და დამტკიცება საგანმანათლებლო ბაზრის, შრომის ბაზრის, სხვა მომხმარებლებისა და დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, უნივერსიტეტის თანამშრომელთა) მოთხოვნების შესწავლისა და შეფასების საფუძველზე;

ბ) სტრატეგიული განვითარების მიმართულებების განსაზღვრა - უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებისა და ამოცანების ფორმალიზაცია, განაწილება უნივერსიტეტის პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებზე და მისი ასახვა გეგმებში, შესაბამისი რესურსების საჭიროებების, შესრულების ვადებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების მითითებით;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურის ფორმირება - უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისა და დაინტერესებული მხარის როლის და ჩართულობის განსაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში;

დ) უნივერსიტეტის საქმიანობის საკვანძო პროცესების აღწერა - შიდა სამართლებრივი აქტების - დებულებების, წესების, ინსტრუქციებისა და სხვა დოკუმენტების სახით; ძირითადი სამუშაო პროცესების, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების, გადაწყვეტილების მიღების, შეცვლის, შეთანხმების და გაუქმების პროცედურების იდენტიფიკაცია;

ე) ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შემუშავება - ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი პროცესების, პროცედურებისა და ინსტრუქციების დადგენა, ძირითადი სამუშაო პროცესების გაზომვისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება.

6.2. ხარისხის უზრუნველყოფის უნივერსალური სტანდარტი მოითხოვს სამუშაო პროცესების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრასა და გაზომვას, მათ კონტროლს, მიზნების მიღწევის დონის ანალიზსა და მუდმივ გაუმჯობესებას. ამიტომ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის

ფორმირების პროცესში აუცილებელია უნივერსიტეტში მიმდინარე აღნიშნული პროცესები, რაც პირველ რიგში, გულისხმობს:

ა) შიდა და გარე მომხმარებლების (სტუდენტების, პერსონალის, დამსაქმებლების, საზოგადოების და ა. შ.) კმაყოფილების დონის შეფასებას;

ბ) სტუდენტების მიერ მიღებული ცოდნის, განვითარებული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ხარისხის შეფასებას მიმდინარე, შუალედური და დასკვნითი კონტროლის პროცედურების ჩათვლით და ა. შ.

გ) სისტემატურ შიდა შეფასებასა (აუდიტს) და, აგრეთვე, პერიოდულ კომპლექსურ თვითშეფასებას.

მუხლი 7. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ციკლი

7.1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა PDCA ციკლს - ოთხსაფეხურიანი) მოდელი, რომელიც გამოიყენება პროცესებისა და პროდუქტების კონტროლის, ცვლილებების და უწყვეტი გაუმჯობესებისათვის.

7.2. PDCA ციკლის საფეხურები განიმარტება შემდეგნაირად:

ა) **Plan (დაგეგმე)** - გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაწყებამდე შეფასებისა და რეაგირების პროცესების დაგეგმვას, რაც ნიშნავს შეფასების პროცესისთვის საჭირო ნაბიჯებისა და მიღებულ შედეგებზე რეაგირების გზების წინასწარ განჭვრეტას;

ბ) **Do (განახორციელე)** - მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას ან/და მიღებულ შედეგებზე რეაგირებას, მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას;

გ) **Check (შეაფასე)** - რაც გულისხმობს განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, ცვლილებების შედეგად მიღებული ცვლილების შეფასება, შესაბამისად, განხორციელებული პროცესების, რეაგირების გზებისა და საშუალებების, ანუ, პროცესში გამოყენებული მექანიზმების ეფექტურობისა და საკმარისობის შეფასებას;

დ) **Act (განავითარე)** - რაც მოიცავს შეფასების შედეგების საფუძველზე საჭირო ცვლილებების განხორციელებას, პროცესის დახვეწის მიზნით.

7.3. PDCA ციკლის ერთი საფეხურის დასრულებისთანავე ხორციელდება მომდევნოზე გადასვლა, ისე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუდმივი განვითარების პროცესში იყოს.

მუხლი 8. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები

8.1. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმებით.

8.2. შიდა მექანიზმებს განეკუთვნება უნივერსიტეტის პროგრამის სტრუქტურასთან, სასწავლო პროცესის განხორციელებასთან, სამეცნიერო კვლევასთან, პერსონალისა და

პროცესების მართვასთან დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაინტერესებული პირების ჩართულობით, ამ პოლიტიკით დადგენილი წესებითა და პროცედურებით.

8.3. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს განეკუთვნება გარე შემფასებელთა - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის შეფასებები (განხორციელებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ), ასევე, მოწვეული დარგის ექსპერტების შეფასება, შესაბამის შემფასებელთა მიერ, დადგენილი წესებითა და პროცედურებით.

თავი II - შიდა ხარისხის შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

მუხლი 9. საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ არსებული ზოგადი მოთხოვნები

9.1. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და განხორციელებადი საგანმანათლებლო პროგრამები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს უნივერსიტეტის მისიასთან და მიზნებთან, ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარეების (სახელმწიფოს, აბიტურიენტის, შრომის ბაზრისა და მოსალოდნელი დამსაქმებლის) მოლოდინებს, საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნებსა და სამეცნიერო მიღწევების აქტუალურ კონტექსტს, უზრუნველყოფილი იყოს მისი განხორციელებისთვის საჭირო რესურსებით (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური, საინფორმაციო) და შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ამოცანებს.

მუხლი 10. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის შეფასება

10.1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები ითვალისწინებს პროგრამის იდეის ინიცირების ეტაპიდან პროგრამის აკრედიტაციის მიღების ეტაპამდე უზრუნველყოს ახალი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და უნივერსიტეტის მოთხოვნებთან შესაბამისობა და პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებული რისკების შემცირება.

10.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესის შეფასება მოიცავს:

ა) ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასებას (კონცეფციის შეფასების შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეფასებას (პროექტის შეფასების შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

გ) საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებასა და აკრედიტაციას.

მუხლი 11. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასება

11.1. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასების დროს საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატორი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამისი სფეროს საჭიროებების, შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეთა მოლოდინების შესახებ, ასევე პროგრამის ზოგად კონცეფციას. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს კონცეფციის შესაბამისობას უნივერსიტეტის მიზნებთან და განვითარების ამოცანებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეისწავლის პროგრამის ინიციატორი გუნდის შესაძლებლობას, შეიმუშაონ და განახორციელონ აღნიშნული პროგრამა, ასევე სწავლობს არსებულ და საჭირო რესურსებს და დასაბუთებულ დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, პროგრამის ინიცირების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე.

11.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი თავის დასკვნაში უფლებამოსილია წარმოადგინოს შემდეგი სახის დასაბუთებული რეკომენდაციები:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის დადებითად შეფასების და მის შემუშავების რეკომენდაციის თაობაზე;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის უარყოფითად შეფასების და მისი შემუშავებისგან თავის შეკავების რეკომენდაციის თაობაზე;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შეფასებისთვის დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების - პროგრამის აქტუალობის, კონკურენტუნარიანობის, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დასადასტურებლად, რაც აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად - წარმოდგენის საჭიროებების თაობაზე.

11.3. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია გაიზიაროს ან არ გაიზიაროს ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაცია და მიიღოს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ერთერთი გადაწყვეტილება პროგრამის კონცეფციასთან მიმართებით.

11.4. ამ მუხლით დადგენილი პროცედურა ვრცელდება ასევე უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის არსებითად ცვლილების პროექტის განხილვის დროს. არსებით ცვლილებად მოიაზრება ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის კვალიფიკაციის ან/და მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილებას.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავება

12.1. საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავება ხორციელდება ,,ავიცენას საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების წესის"(შემდეგში - პროგრამის შემუშავების წესი) შესაბამისად.

მუხლი 13. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება

13.1. უნივერსიტეტში შემუშავებული და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენის მიზნით პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების, სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების, პროგრამის სტუდენტებთან მუშაობის სერვისებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების აღწერას თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფის მეშვეობით.

13.2. თვითშეფასების/სამუშაო ჯგუფი იქმნება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და მის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

ა) პროგრამის ხელმძღვანელი;

ბ) სამუშაო ჯგუფის წევრები;

გ) პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;

დ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები;

ე) პარტნიორ დამსაქმებელთა წარმომადგენლები;

ვ) სტუდენტები, მოქმედი პროგრამის შემთხვევაში;

ზ) კურსდამთავრებულები, არსებობის შემთხვევაში.

13.3. თვითშეფასების პროცესი წარიმართება საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით დადგენილი პროცედურისა და თვითშეფასების ფორმის გამოყენებით.

13.4. თვითშეფასების პროცესის ორგანიზებასა და მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასება

14.1. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურების ამოცანაა სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება პროგრამაზე სწავლის სრული პერიოდის განმავლობაში, შეფასების შედეგებზე რეაგირება და პროგრამის ეფექტურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის ან პირების ინფორმირება სასურველი მოდიფიცირების შესახებ.

14.2. სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხის შეფასების პროცედურების ამოცანაა სასწავლო პროცესის უწყვეტ განხორციელებაში წვლილის შეტანა და განხორციელების პროცესზე დაკვირვება, რათა სასწავლო პროცესის შემადგენელი ნებისმიერი კომპონენტი (ლექცია/სემინარი/პრაქტიკული/ლაბორატორიული) მიმდინარეობდეს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზნების შესაბამისად, სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და ქმნიდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს.

14.3. სასწავლო პროცესის შეფასების კომპონენტებია:

ა) სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

ბ) სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;

დ) საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;

ე) სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მონიტორინგი;

ვ) კლინიკური სწავლების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;

ზ) კოლეგიალური ურთიერთდასწრება (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

თ) პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

ი) პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

კ) სტუდენტების სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასებების ანალიზი;

ი) სტუდენტების სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასებების ანალიზი.

მუხლი 15. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება

15.1. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება მოიცავს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის შინაარსის შეფასებას სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით სტუდენტთა უკუკავშირზე დაყრდნობით, თითოეული სასწავლო კურსისთვის ცალ-ცალკე.

15.2. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზის დროს განისაზღვრება:

ა) კურსის სირთულის დონე;

ბ) კურსზე დაშვების წინაპირობის ადეკვატურობა;

გ) დავალებებისა და სასწავლო ლიტერატურის სირთულე;

ე) სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული თუ კლინიკური მეცადინეობის დროის საკმარისობა;

ვ) სასწავლო კურსის სტუდენტთა მოლოდინებთან შესაბამისობა;

15.3. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზი ტარდება ყოველსემესტრულად.

15.4. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზის დროს საერთო ტრენდიდან მნიშვნელოვანი გადახრის (25% და მეტი) მქონე კომპონენტები შესაძლებელია ცალკე იქნეს შესწავლილი შეფასების დამხმარე ფორმების (ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, დაკვირვება და აშ) მეშვეობით.

15.5. სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზის შედეგები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 16. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება

16.1. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება მოიცავს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შეფასებას, სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, სტუდენტთა უკუკავშირზე დაყრდნობით, თითოეული სასწავლო კურსისთვის ცალ-ცალკე.

16.2. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზის დროს განისაზღვრება:

ა) პერსონალით კმაყოფილების ზოგადი დონე;

ბ) სწავლების მეთოდების ადეკვატურობა;

გ) შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;

დ) კომუნიკაციის ადეკვატურობა;

ე) ორგანიზებულობა და დროის მენეჯმენტი;

ვ) აუდიტორიის მართვისა და პედაგოგიური უნარები.

16.3. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზი ტარდება ყოველსემესტრულად.

16.4. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზის დროს საერთო ტენდენციიდან მნიშვნელოვანი გადახრის (25% და მეტი) მქონე კომპონენტები შესაძლებელია ცალკე იქნეს შესწავლილი, შეფასების დამხმარე ფორმების (ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, დაკვირვება და ა შ) მეშვეობით.

16.5. სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზის შედეგები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს და აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის შეფასება

17.1. საგანმანათლებლო პროცესების (სასწავლო, ლაბორატორიული თუ კლინიკური მეცადინეობის, კონსულტაციების, ასევე საგამოცდო პროცესის) მონიტორინგის მიზანია შემოწმდეს აღნიშნული პროცესის ორგანიზაციის დონე და უფლებამოსილი პირების მიერ საკუთარი ვალდებულების შესრულების ხარისხი.

17.2. საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:

ა) პირდაპირი დაკვირვება (მონიტორინგი);

ბ) სტუდენტების უკუკავშირი;

გ) პერსონალის გამოკითხვა/უკუკავშირი;

დ) სტუდენტების ან პერსონალის საჩივარზე რეაგირება.

17.3. საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის შეფასება წარმოებს პერიოდულად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული გრაფიკის შესაბამისად.

17.4. საგანმანათლებლო პროცესების მიმდინარეობის შეფასების შედეგები წარედგინება უნივერსიტეტის სკოლის დეკანს და რექტორის მოადგილეს კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით.

მუხლი 18. კოლეგიალური ურთიერთდასწრება

18.1. კოლეგიალური ურთიერთდასწრება გულისხმობს მსგავსი საგანმანათლებლო კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალის განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მიზნად ისახავს კოლეგიალური შეფასების გზით სწავლების საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებასა და განვითარებას.

18.2. კოლეგიალური დასწრების ფარგლებში ფასდება:

ა) სწავლების მეთოდების ადეკვატურობა;

ბ) შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;

გ) კომუნიკაციის ადეკვატურობა;

დ) ორგანიზებულობა და დროის მენეჯმენტი;

ე) აუდიტორიის მართვისა და პედაგოგიური უნარები.

18.3. კოლეგიალური ურთიერთდასწრება ტარდება სასწავლო პროცესის განმავლობაში, სკოლის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული გრაფიკით.

18.4. კოლეგიალური ურთიერთდასწრების შეფასების შედეგები წარედგინება შეფასებულსა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 19. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება

19.1. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასება მოიცავს სასწავლო კურსის შინაარსის შეფასებას ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით თითოეული სასწავლო კურსისთვის ცალ-ცალკე.

19.2. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზის დროს განისაზღვრება:

ა) სასწავლო კურსის სირთულის დონე;

ბ) სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობის ადეკვატურობა;

გ) დავალებებისა და სასწავლო ლიტერატურის სირთულე;

დ) სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული თუ კლინიკური მეცადინეობის დროის საკმარისობა;

ე) სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესაბამისობა;

19.3. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზი ტარდება ყოველწლიურად, თითოეული სასწავლო კურსისთვის.

19.4. პროგრამის ხელმძღვანელისა და სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზის ურთიერთშედარების დროს საერთო ტენდენციიდან მნიშვნელოვანი გადახრის (25% და მეტი) მქონე კომპონენტები შესაძლებელია ცალკე იქნეს შესწავლილი.

19.5. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განხორციელების შეფასებათა ანალიზის შედეგები და განვითარების რეკომენდაციები წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 20. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება

20.1. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასება მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თუ მოწვეული პერსონალის შეფასებას სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით თითოეული სასწავლო კურსისთვის ცალ-ცალკე.

20.2. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზის დროს განისაზღვრება:

ა) სწავლების მეთოდების ადეკვატურობა;

ბ) შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;

გ) კომუნიკაციის ადეკვატურობა;

დ) ორგანიზებულობა და დროის მენეჯმენტი;

ე) აუდიტორიის მართვისა და პედაგოგიური უნარები.

20.3. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზი ტარდება ყოველსემესტრულად.

20.4. პროგრამის ხელმძღვანელისა და სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზის ურთიერთშედარების დროს საერთო ტენდენციიდან მნიშვნელოვანი გადახრის (25% და მეტი) მქონე კომპონენტები შესაძლებელია ცალკე იქნეს შესწავლილი.

20.5. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის შეფასებათა ანალიზის შედეგები და განვითარების რეკომენდაციები წარედგინება შეფასებულ პერსონალსა და აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 21. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი

21.1. სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზი ითვალისწინებს სტუდენტის აკადემიური მოსწრების პერიოდულ შეფასებას და შეფასების პროცესში აღმოჩენილ გადახრებზე რეაგირების რეკომენდაციების შემუშავებას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.

21.2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის და ცალკეული სასწავლო კურსების სირთულის ხარისხი;

ბ) გამოყენებული შეფასების მეთოდების ადეკვატურობა;

გ) სტუდენტთა კონტიგენტის მომზადების დონე;

დ) შეფასებათა სირთულის ხარისხი.

21.3. აკადემიური მოსწრების ანალიზი ტარდება ყოველწლიურად.

21.4. ანალიზის შედეგები მოსალოდნელია შესაბამისობაში მოდიოდეს ნორმალურ განაწილებასთან (გაუსის განაწილება), შემდეგი ბიჯით:

ა) უმაღლესი და უმდაბლესი შეფასება - სტუდენტთა კონტიგენტის 10-10%;

ბ) მაღალი და დაბალი შეფასება - სტუდენტთა კონტიგენტის 25-25%;

გ) საშუალო შეფასება - სტუდენტთა კონტიგენტის 30%.

21.5. საერთო შეფასების პარალელურად, განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, რომელსაც მნიშვნელოვანი (20% და მეტი) გადახრა აქვს განაწილების საერთო ტენდენციიდან.

21.6. კონკრეტული სასწავლო კომპონენტის თავისებურებიდან გამომდინარე შესაძლებელია აკადემიური მოსწრების ანალიზი სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფის, ან სასწავლო კურსის სხვადასხვა კომპონენტს (მიმდინარე, შუალედური თუ დასკვნითი შეფასება) შორის გადახრის იდენტიფიცირების მიზნით.

მუხლი 22. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის (შეფასებების) ანალიზი

22.1. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, პროფესიული მიღწევებისა და დასაქმების მაჩვენებლების შეფასება მიზნად ისახავს არაპირდაპირი გზით შემოწმდეს კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგების მიღწევა, მიღებული იქნას ინფორმაცია, რომელიც პროგრამის განვითარებას, სფეროსა და შრომის ბაზრის საჭიროებაზე მეტ ორიენტაციას შეუწყობს ხელს.

22.2. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა/შეფასება ხორციელდება:

ა) კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებით (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

ბ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებით;

გ) კურსდამთავრებულთა სპეციალობით დასაქმების მაჩვენებლებით;

დ) ეროვნულ და საერთაშორისო სასერთიფიკატო გამოცდებზე კურსდამთავრებულთა შედეგებით.

მუხლი 23. საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასებების ანალიზი

23.1. საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასებების ანალიზი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის პარტნიორი, პროგრამის განხორციელების სფეროში მოღვაწე დაინტერესებული დამსაქმებლების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამაზე უკუკავშირის შეგროვებასა და დამუშავებას, პროგრამის პირველადი და სამომავლო შეფასების, პროგრამის განვითარებისა და შრომის ბაზრის აქტუალურ საჭიროებებზე მისი ორიენტირების მიზნით.

23.2. საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა მიერ პროგრამის შეფასებების გამოიყენება:

ა) დამსაქმებელთა გამოკითხვა (შესაბამისი ფორმა მტკიცდება რექტორის ბრძანებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით);

ბ) შრომის ბაზრის კვლევა;

გ) დამსაქმებელთა წარმომადგენლების პირდაპირი ჩართულობა სამუშაო ჯგუფში.

მუხლი 24. მატერიალური რესურსების შესაბამისობის ანალიზი

24.1. უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების: სასწავლო ფართის, რეკრეაციული და დამხმარე სივრცეების, სასწავლო აღჭურვილობის, ლაბორატორიული დანადგარების, კომპიუტერული ტექნიკის, სასწავლო სიმულატორებისა და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან, სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებებთან და მოლოდინებთან შესაბამისობის, და რესურსების ხელმისაწვდომობის დადგენა ხორციელდება:

ა) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით;

ბ) მატერიალური რესურსის აუდიტის შედეგებით;

გ) არსებობის შემთხვევაში - უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ან საუკეთესო პრაქტიკით გათვალისწინებული სამიზნე ნიშნულთან შესაბამისობის შეფასებით;

დ) არსებობის შემთხვევაში - გარე რეკომენდაციებთან მატერიალური რესურსების შესაბამისობის შეფასებით.

მუხლი 25. საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობის ანალიზი

25.1. სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო წიგნად ფონდთან შესაბამისობის, ასევე სხვა საინფორმაციო რესურსის ხელმისაწვდომობის და საკმარისობის დადგენა ხორციელდება:

ა) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით;

ბ) საბიბლიოთეკო ფონდების და საინფორმაციო რესურსის აუდიტის შედეგებით;

გ) არსებობის შემთხვევაში - უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ან საუკეთესო პრაქტიკით გათვალისწინებული სამიზნე ნიშნულთან შესაბამისობის შეფასებით;

დ) არსებობის შემთხვევაში - გარე რეკომენდაციებთან საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობის შეფასებით.

მუხლი 26. ვებგვერდისა და სხვა ინფორმაციული რესურსების შესაბამისობის ანალიზი

26.1. უნივერსიტეტის ინფორმაციული რესურსების: უნივერსიტეტის ვებგვერდის, ასევე სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საგანმანათლებლო პროცესის, სტუდენტებისა და პერსონალის საჭიროებებთან და მოლოდინებთან შესაბამისობის, ასევე მომხმარებლისთვის მათი ხელმისაწვდომობის დადგენა ხორციელდება:

ა) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით;

ბ) საინფორმაციო რესურსების გამოყენების სტატისტიკის შესწავლით;

გ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან ინფორმაციული რესურსების შესაბამისობის შეფასებით;

დ) არსებობის შემთხვევაში - გარე რეკომენდაციებთან ინფორმაციული რესურსების შესაბამისობის შეფასებით.

მუხლი 27. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება და სტუდენტთა ზღვრული ოდენობის შეფასება

27.1. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის პროცედურების შემუშავება, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტის რესურსების შეფასებას და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური თუ სხვა სასწავლო რესურსების საკმარისობის მონიტორინგს.

27.2. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო თუ კლინიკური სწავლების პროცესების მაღალი ხარისხით, შეუფერხებლად განხორციელებას, მისცეს უნივერსიტეტს საკუთარი მატერიალური, ადამიანური თუ კლინიკური რესურსების საკმარისობის შეფასებისა და შემდგომი განვითარების საჭიროების დადგენის გამჭვირვალე და ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც ეფუძნება საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის

უზრუნველყოფის მიმართულებით არსებულ რეგულაციებს, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს, და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიერ დასახულ განვითარების დინამიკის და დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიღწევადობის პირველად და მიმდინარე შეფასებას.

27.3. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, მატერიალური თუ სხვა სასწავლო რესურსების საკმარისობის შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად.

მუხლი 28. აკადემიური პერსონალის შეფასება

28.1. აკადემიური პერსონალის შეფასება მიზნად ისახავს განისაზღვროს შესაბამისი პერსონალის პროფესიული უნარების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, შეფასდეს კოლეგების, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაბამისი აკადემიური პერსონალით კმაყოფილების მაჩვენებელი, განისაზღვროს კონკრეტული პერსონალის საქმიანობაში განსავითარებელი მხარეები და მიეცეს დასაბუთებული უკუკავშირი პროფესიული განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას, პროფესიული განვითარებისთვის საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პერსონალის მოტივაციის გაზრდას.

28.2. აკადემიური პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება:

ა) გამოცდილებისა და პროფესიული უნარების პირველადი შეფასება აკადემიური კონკურსის ფარგლებში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული 3600 - იანი შეფასების შედეგები;

გ) სასწავლო საქმიანობის შეფასების შედეგები; სტუდენტთა, კოლეგების და ადმინისტრაციის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები;

დ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები;

ე) პერსონალის ანგარიშები შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაო დატვირთვით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე;

28.3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მხარდაჭერას (ტრენინგის ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა) .

მუხლი 29. მოწვეული პერსონალის შეფასება

29.1. მოწვეული პერსონალის შეფასება მიზნად ისახავს განისაზღვროს შესაბამისი პერსონალის პროფესიული უნარების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, შეფასდეს

კოლეგების, სტუდენტებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაბამისი პერსონალით კმაყოფილების მაჩვენებელი, განისაზღვროს კონკრეტული პერსონალის საქმიანობაში განსავითარებელი მხარეები და მიეცეს დასაბუთებული უკუკავშირი პროფესიული განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პერსონალის მოტივაციის გაზრდას.

29.2. მოწვეული პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება:

ა) გამოცდილებისა და პროფესიული უნარების პირველადი შეფასება კონკურსის/შერჩევის/სამსახურში მიღების პროცესის ფარგლებში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული 3600- - იანი შეფასების შედეგები;

გ) სასწავლო საქმიანობის შეფასების შედეგები; სტუდენტთა, კოლეგების და ადმინისტრაციის თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგები;

დ) პერსონალის ანგარიშები შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაო დატვირთვით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

29.3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მხარდაჭერას (ტრენინგის ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა).

მუხლი 30. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება

30.1. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება მიზნად ისახავს განისაზღვროს შესაბამისი პერსონალის პროფესიული უნარების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან, შეფასდეს კოლეგების, სასწავლო პერსონალის სტუდენტებისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაბამისი პერსონალით კმაყოფილების მაჩვენებელი, განისაზღვროს კონკრეტული პერსონალის საქმიანობაში განსავითარებელი მხარეები და მიეცეს დასაბუთებული უკუკავშირი პროფესიული განვითარებისთვის, რაც უზრუნველყოფს პროცესების მაღალკვალიფიციური პერსონალით წარმართვას, პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებასა და პერსონალის მოტივაციის გაზრდას.

30.2. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებისთვის გამოიყენება:

ა) გამოცდილებისა და პროფესიული უნარების პირველადი შეფასება კონკურსის/შერჩევის/სამსახურში მიღების პროცესის ფარგლებში;

ბ) უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული 3600- - იანი შეფასების შედეგები;

გ) სტუდენტთა, კოლეგების და სასწავლო პერსონალის გამოკითხვის შედეგები.

დ) პერსონალის ანგარიშები შრომითი ხელშეკრულებით, სამუშაო დატვირთვით და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.

30.3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მხარდაჭერას (ტრენინგის ორგანიზება, სერთიფიცირება, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა).

მუხლი 31. კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნები

31.1. სამეცნიერო კვლევების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოცანაა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი საქმიანობის შეფასება, განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის პროდუქტიულობის ხარისხი და მხარი დაუჭიროს მეტი და საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული კვლევის განხორციელებას. გარდა აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის უზრუნველყოფისა, ხარისხის უზრუნველყოფის აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს სტუდენტების აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ კვლევით პროცესებში ჩართულობას და მათი ინდივიდუალური კვლევითი ინტერესების ხელშეწყობას, კვლევის თანაბარი ხელმისაწვდომობის, კვლევითი წინადადებების ობიექტური და მიუკერძოებელი შეფასების, შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფას.

მუხლი 32. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება

32.1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის (სამეცნიერო პროდუქტიულობის) შეფასება მიზნად ისახავს დადგინდეს აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაჩვენებელი, ხელი შეეწყოს პერსონალის სამეცნიერო აქტიურობას და წახალისებული იქნეს მაღალი სამეცნიერო შედეგის მომტანი კვლევითი საქმიანობა.

32.2. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის გამოიყენება:

ა) აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ფარგლებში პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება, კერძოდ:

ა.ა) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები;

ა.ბ) გამოქვეყნებული მონოგრაფიები;

ა.გ) მოპოვებული სამეცნიერო გრანტები;

ა.დ) პატენტები, გამოგონებები.

ბ) უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავების პერიოდში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შედეგები, რომელიც მოიცავს:

ბ.ა) იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს;

ბ.ბ) რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებს;

ბ.გ) მოხსენებებს ადგილობრივ კონფერენციებზე;

ბ.დ) მოხსენებებს საერთაშორისო კონფერენციებზე;

ბ.ე) მოპოვებულ სამეცნიერო გრანტებს;

ბ.ვ) ჩართულობას სამეცნიერო საგრანტო პროექტებში;

ბ.ზ) მოპოვებულ საუნივერსიტეტო გრანტებს;

ბ.თ) ჩართულობას საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტებში;

ბ.ი) უნივერსიტეტის სახელით გამოქვეყნებულ მონოგრაფიებს და სახელმძღვანელოებს;

ბ.კ) უნივერსიტეტის სტუდენტთა კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელობას;

ბ.ლ) უნივერსიტეტის სტუდენტთა საკონფერენციო ნაშრომების ხელმძღვანელობას.

32.3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება წარმოებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესის შესაბამისად.

მუხლი 33. მმართველობითი საქმიანობაში ხარისხის უზრუნველყოფა

33.1. უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის და მმართველობითი პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის ამოცანაა უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, სამსახურებრივი ანგარიშგების, სამიზნე ნიშნულების და სტრატეგიული განვითარების ამოცანების შესაბამისად.

33.2. მმართველობითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფაში შეფასებებისთვის გამოიყენება:

ა) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა;

ბ) უნივერსიტეტის სამიზნე ნიშნულების მიღწევის მონიტორინგით;

გ) უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული ამოცანების მიღწევის ანგარიშგება;

დ) მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი სუბიექტების შეფასების შედეგები.

33.3. უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები ამ პოლიტიკის გარდა დამატებით განისაზღვრება:

ა) უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით;

ბ) უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტით;

გ) უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით.

მუხლი 34. საფინანსო და საბიუჯეტო პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა

34.1. საფინანსო - საბიუჯეტო პოლიტიკის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გულისხმობს უნივერსიტეტის ფინანსური მმართველობის და ბიუჯეტირების განხორციელების პროცედურების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს უნივერსიტეტის წარმატებული ფუნქციონირება და განვითარება, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ეფექტურ გამოყენებას უნივერსიტეტის მიმდინარე საჭიროებებისა და განვითარების მიზნების შესაბამისად.

34.2. საფინანსო - საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის საფინანსო და საბიუჯეტო პოლიტიკის დოკუმენტით.

მუხლი 35. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისების ანალიზი

35.1. სტუდენტებისთვის მხარდამჭერი სერვისების და რესურსების შეფასება გულისხმობს სასწავლო პროცესის პარალელურად, სტუდენტთა საჭიროებების ადამიანურ მხარდაჭერას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

35.2. უნივერსიტეტის მხარდამჭერი სერვისების - ინფორმაციის მიწოდების, ადმინისტრაციული პროცესების განხორციელების ეფექტურობის და დროულობის, ინფორმაციის ღიაობის, კეთილგანწყობილი დამოკიდებულების და ა შ. შეფასების სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პერსონალის საჭიროებებთან და მოლოდინებთან შესაბამისობის, და ხელმისაწვდომობის დადგენა ხორციელდება:

ა) დაინტერესებული მხარეების გამოკითხვით;

ბ) არსებობის შემთხვევაში - გარე რეკომენდაციებთან სერვისების შესაბამისობის შეფასებით.

თავი III - გარე ხარისხის შეფასება

მუხლი 36. გარე შეფასების მიზანი და ამოცანები

36.1. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენება, როგორც ადგილობრივ დონეზე (ავტორიზაცია და აკრედიტაცია), ასევე, საერთაშორისო დონეზე (საერთაშორისო აკრედიტაცია, უცხოელი ექსპერტის მოწვევა და სხვ.), მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურობის შეფასებისთვის, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარების პროცესის უწყვეტობისთვის.

მუხლი 37. ავტორიზაცია

37.1. ავტორიზაცია გულისხმობს უნივერსიტეტისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსისა და საქმიანობის უფლების მინიჭებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან უნივერსიტეტის შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

37.2. ავტორიზაციას წინ უსწრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასება, რომლის ჩასატარებლად, უნივერსიტეტის რექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით აყალიბებს თვითშეფასების ჯგუფს.

37.3. ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:

ა) უნივერსიტეტის დამფუძნებლები ან მათი წარმომადგენლები;

ბ) უნივერსიტეტის რექტორი;

გ) უნივერსიტეტის მმართველობითი ფუნქციის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები;

დ) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ხელმძღვანელები;

ე) პროგრამის ხელმძღვანელები;

ვ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები;

ზ) პარტნიორ დამსაქმებელთა წარმომადგენლები;

თ) სტუდენტები, არსებობის შემთხვევაში;

ი) კურსდამთავრებულები, არსებობის შემთხვევაში;

კ) ხარისხის უზრუნველყოფს სამსახურის მიერ წარდგენილი სხვა პირები.

37.4. ავტორიზაციის პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფაზე უნივერსიტეტისა და თვითშეფასების ჯგუფის შიგნით პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

37.5. ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეობით განიხილავს ავტორიზაციის ექსპერტთა და ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციებს და შეიმუშავებს წინადადებას რეკომენდაციების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე.

37.6. რეკომენდაციები, რომელთა შესრულების შესახებ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, აისახება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, ხოლო რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა გადაწყვეტილ იქნა მიზანშეუწონლობის/შეუძლებლობის მოტივით, უნდა დასაბუთდეს.

37.7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე შემუშავებულ რეკომენდაციების პარტნიორთა საერთო კრებასთან შეთანხმებით ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

37.8. ავტორიზაციაზე უარის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეობით განიხილავს ავტორიზაციის ექსპერტთა და ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციებს და შეფასებებს, და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და პარტნიორთა საერთო კრებას წარუდგენს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ დასაბუთებულ პოზიციას:

ა) ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებაზე აპელაციის შეტანის თაობაზე;

ბ) ავტორიზაციის განაცხადის ხელახლა წარდგენის თაობაზე;

37.9. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სააპელაციო განაცხადის მომზადებას და კოორდინაციას უწევს საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესს.

37.10. ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი პარტნიორთა საერთო კრებასთან შეთანხმებით ადგენს საავტორიზაციო განაცხადის ხელახლა წარდგენისთვის მომზადების გეგმას.

მუხლი 38. აკრედიტაცია

38.1. აკრედიტაცია გულისხმობს უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარიხის შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან.

38.2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ყველა პროგრამის აკრედიტაცია სავალდებულოა.

38.3. ეროვნულ დონეზე პროგრამის აკრედიტაცია ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებით დადგენილი წესითა და პროცედურებით.

38.4. პროგრამის აკრედიტაციას წინ უსწრებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება, აკრედიტაციის დებულებითა და ამ პოლიტიკის მე-13 მუხლით დადგენილი პროცედურით.

38.5. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში პროგრამის პირველადი შეფასების ფაზა ითვლება შესრულებულად.

38.6. აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეობით განიხილავს პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს და შეიმუშავებს წინადადებას რეკომენდაციების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების თაობაზე.

38.7. რეკომენდაციები, რომელზეც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება მათი შესრულების თაობაზე, აისახება პროგრამის მოდიფიცირების გეგმაში, ხოლო რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა გადაწყვეტილ იქნა, მიზანშეუწონლობის/შეუძლებლობის მოტივით, უნდა დასაბუთდეს.

38.8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე შემუშავებულ პროგრამის მოდიფიცირების გეგმას, რომელიც მიმართულია გარე შემფასებელთა რეკომენდაციების შესასრულებლად, ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

38.9. აკრედიტაციაზე უარის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თვითშეფასების ჯგუფის მონაწილეობით განიხილავს პროგრამის შესახებ აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებს და შეფასებებს, და უნივერსიტეტის

აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ დასაბუთებულ პოზიციას:

ა) აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაზე აპელაციის შეტანის თაობაზე;

ბ) პროგრამის გადამუშავების და სააკრედიტაციოდ ხელახლა წარდგენის თაობაზე;

გ) პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმის თაობაზე.

38.10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს სააპელაციო განაცხადის მომზადებას და კოორდინაციას უწევს საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესს.

38.11. ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამის განახლებული ვერსია მუშავდება ამ პოლიტიკისა და უნივერსიტეტის პროგრამის შემუშავების წესით გათვალისწინებული პროცედურით.

თავი IV - ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურული საკითხები

მუხლი 39. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სუბიექტები

39.1. ხარისხის მართვა არის უნივერსიტეტის საქმიანობის ყოველდღიური ნაწილი და შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოსალოდნელია საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა.

39.2. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაგეგმვასა და კოორდინირებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

39.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, მმართველობითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეფასებების განხორციელებას, განვითარების რეკომენდაციების შემუშავებას და მათი იმპლემენტაციის მონიტორინგს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკებთან, ადგილობრივ სტანდარტებთან თუ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან თანხვედრაში.

39.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად კონკრეტულ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული სუბიექტების, შემფასებლებისა თუ დაინტერესებული მხარეების წრე განისაზღვრება ამ პოლიტიკით ან/და მის საფუძველზე მიღებული უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

39.5. გარე შემფასებელთა და დაინტერესებულ მხარეთა წრე განისაზღვრება შესაბამისი გარე შეფასების პროცედურით, ან/და შეფასების მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებით.

მუხლი 40. ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები

40.1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დოკუმენტებს მოიცავს:

ა) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

ბ) პოლიტიკაში ან ცალკე დოკუმენტით აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები;

გ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებში გამოყენებადი შეფასების და გამოკითხვის ფორმები;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ან სხვა უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ანგარიშები შეფასების შედეგებისა და განვითარების რეკომენდაციების შესახებ.

მუხლი 41. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გავრცელება (გაცნობა)

41.1. ხარისხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ღია, თანამშრომლობით და საუნივერსიტეტო საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებულ პროცესებს. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით განსაზღვრული შეფასებების შედეგები ან მათი ნაწილი, უნდა ეცნობოს საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებს.

41.2. უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭო და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი უფლებამოსილნი არიან გაეცნონ უნივერსიტეტში განხორციელებული ყველა შეფასების შედეგებს.

41.3. უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები უფლებამოსილი არიან გაეცნონ მათ მიმართ ან მათ მიერ განხორციელებული შეფასებების შედეგებს.

41.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს შეფასების საკვანძო შედეგების პროაქტიული გამოქვეყნებას უნივერსიტეტის ვებგვერდის საშუალებით, ასევე შეფასებების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობას.

მუხლი 42. დასკვნითი დებულებები

42.1. უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, პოლიტიკის პირველი რედაქცია მიღებულია და დამტკიცებულია უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრების მიერ.

42.2. პოლიტიკის მოდიფიცირებული რედაქციის, მასში ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

42.3. პოლიტიკის ძალაში შესვლის დროს ხარისხის უზრუნველყოფის პირველადი პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს ამ პოლიტიკით განსაზღვრულისგან განსხვავებულ ვადებში, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ადგენს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.